საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030156252498517

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/51113 **07 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის
უფროსს ბატონ ანზორ ჩუბინიძეს

ასლი: სსიპ საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტოს უფროსს
ბატონ დავით სალაღაიას

ბატონო ანზორ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 7-8 აგვისტოს დაგეგმილია ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „გილიად საიენსის“ (Gilead Sciences Inc.) წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან:

1. ჯონ მარტინი (John C. Martin), აღმასრულებელი თავმჯდომარე;
2. გრეგ ალტონი (Gregg H. Alton), აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი;
3. კლიფორდ სამუელი (Clifford M. Samuel), უფროსი ვიცე პრეზიდენტი;

ვიზიტის მიზანია საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრა საქართველოს პრემიერ–მინისტრთან.

ზემოაღნიშნული პირების დახვედრა-გაცილების მიზნით, გთხოვთ, დახმარებას საქართველოს საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო VIP გასასვლელით სარგებლობისა და კვებით უზრუნველყოფის თაობაზე.

მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, 17:27 საათზე დაგეგმილია ბატონი ჯონ მარტინის და კლიფორდ სამუელის ჩამოსვლა თბილისში, სპეც-რეისით (Tail#977GS), ხოლო დელეგაციის სამივე წევრის გამგზავრება იგეგმება 8 აგვისტოს, 23:00 საათზე, სპეც-რეისით (Tail#977GS).

დელეგაციის წევრების დახვედრა–გაცილებას უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი სოფიკო ბელქანია და ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი მარიანა მკურნალი შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით: Toyota Camry MO-111-HG, Toyota Camry MO-002-HG, Hyundai Accent CJC-898, KIA Cerato MOH-017.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და დახმარებისთვის.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ნინო ბერძული